„ შეთანხმებულია“

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია

დაურ ისმაილოვი

„ვამტკიცებ“

საქართველოს ძუდოს ეროვნული ფედერაცია

ლევან ნოზაძე

---

11 ნოემბერი 2026

დებულება

თენგიზ ნავერიანის სახელობის ტრადიციული მეთხუთმეტე საკლუბო ჩემპიონატი 2010-2012 წლებში დაბადებულ ძიუდოისტ ვაჟებს შორის

I ლიგა

27 ნოემბერი

2026

მარნეული

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;
- კლუბებსა და სპორტსმენებს შორის გამოცდილების გაზიარება და ურთიერთობის გაღრმავება.
- თენგიზ ნავერიანის სახელის უკვდავყოფა;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს სპორტის სამინისტროსთან და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- I ლიგაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის კლუბები, რომლებიც 2026 წელს გამართულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ვერ გავიდნენ "ოქროს ლიგაში".

რეგისტრაცია:

- კლუბების რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან http://gjf.ge/geo/calendar/georgia სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით.
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის კლუბები, რომელთა წარმომადგენლებიც 2026 წლის 20 ნოემბრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- რეგისტრაციის გარეშე კლუბები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 26 ნოემბერს.
- შეჯიბრება ჩატარდება 27 ნოემბერს მარნეულში „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში (ყოფილი ათა-ჰოლდინგის სპორტ. ცენტრი).
- ჩამოსვლის დღე 26 ნოემბერი. წასვლა – 28 ნოემბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი 10.00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 5 წონით კატეგორიაში: -55კგ; -60კგ; -66კგ; -73კგ; +73კგ

აწონვა

აწონვა ჩატარდება 26 ნოემბერს თბილისში ძიუდოს აკადემიაში და მარნეულში „აზერბაიჯან ჰაუსის" სპორტულ ცენტრში (ყოფილი ათა-ჰოლდინგის სპორტ. ცენტრი) 17:00 – 18:00 საათებში; 27 ნოემბერს მხოლოდ მარნეულში 08:30 – 09:00 საათებში;

VI. საპრიზო თანხა

- თენგიზ ნავერიანის სახელობის საკლუბო ჩემპიონატის I ლიგა საპრიზო თანხად განსაზღვრულია 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი, რაც კლუბებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

I ადგილი _ 10 000 ლარი
II ადგილი _ 8 000 ლარი
III ადგილი _ 7 000 ლარი
III ადგილი _ 7 000 ლარი
V ადგილი _ 4 000 ლარი
V ადგილი _ 4 000 ლარი
VII ადგილი _ 2 500 ლარი
VII ადგილი _ 2 500 ლარი

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- საპრიზოდ განსაზღვრული თანხის 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ვალდებულება განაწილდება შემდეგნაირად:

1. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.
2. ააიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (საშეჯიბრო დარბაზის მოწყობა, სამედიცინო მომსახურება, სტუმრების გამასპინძლება ყავის შესვენების ფორმატში (ყავა, ჩაი, ტკბილეული), ღონისძიების ოფიციალური გახსნა, ღონისძიების ოფიციალური (დაჯილდოვება) და არაოფიციალური (საზეიმო ვახშამი) დახურვა, მსაჯების ხელფასი და სხვა საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, რომლებიც დაკავშირებულია შეჯიბრების შეუფერხებელ ჩატარებასთან) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს სპორტის სამინისტროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლასთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
ტელეფონი / ფაქსი: +995322516466;
ელექტრონული მისამართი: registr.gjf.@gmail.com
საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577994407
საკონტაქტო პირი – მამუკა ნავერიანი 551777988

PS:

- კლუბებს ეკრძალებათ სხვა კლუბის სპორტსმენების გამოყვანა. ის კლუბები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოიყვანენ სხვა კლუბის სპორტსმენებს მოიხსნებიან, როგორც ამ შეჯიბრებიდან, ასევე 3 წლის განმავლობაში მიეცემათ დისკვალიფიკაცია. კლუბს სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს იმ შემთხვევაში თუ ეს სპორტსმენი მინიმუმ უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში მაინც ვარჯიშობს ამ კლუბის რომელიმე მწვრთნელთან და მას არ უასპარეზია სხვა კლუბში მიმდინარე და წინა საშეჯიბრო წლის განმავლობაში.
- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- სპორტსმენთა მაქსიმალური რაოდენობა კლუბისათვის განისაზღვროს 10-ით, თითოეულ წონით კატეგორიაში 2 კვოტით.

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ნოზაძე